<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №39(46), 1999 წელი, მუხ. 190) დაემატოს შემდეგი შინაარსის:

1. VII[25] თავი შემდეგი რედაქციით:

„თავი VII[25]. ადმინისტრაციული სამართალწარმოება წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევასთან, აგრეთვე არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევაზე (ჩარიცხვაზე) უარის თქმასთან დაკავშირებით

მუხლი 21[97]. წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების გასაჩივრება
1. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში სარჩელი შეიძლება აღიძრას წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით.
2. სარჩელი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს წარედგინება წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ გადაწყვეტილების გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 21[98]. განსჯადი სასამართლო
სასამართლოთა შორის დავა განსჯადობის შესახებ არ დაიშვება.

მუხლი 21[99]. სარჩელის მიღების საკითხის განხილვა
1. მოსამართლე სარჩელის შეტანიდან 3 დღის ვადაში იხილავს მისი მიღების საკითხს.
2. თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს ან არ არის დასაშვები, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და მოსარჩელეს დაუბრუნებს სარჩელს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.
3. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის თაობაზე სასამართლო განჩინება საჩივრდება კერძო საჩივრით, დასაბუთებული განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში.
4. სარჩელის მიღების შემდეგ მოპასუხეს ამ კოდექსის 201-ე მუხლით დადგენილი წესით, დაუყოვნებლივ ეგზავნება სარჩელი და თანდართული დოკუმენტების ასლები.

მუხლი 21[100]. სარჩელის განხილვა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში და სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) აღსრულება
1. რაიონული (საქალაქო) სასამართლო სარჩელს განიხილავს წარმოებაში მიღებიდან 1 თვის ვადაში ამ კოდექსის 28-ე მუხლით დადგენილი წესით.
2. რაიონული (საქალაქო) სასამართლო გადაწყვეტილებით ძალაში დატოვებს ან გააუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას.
3. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილი დაუყოვნებლივ ეგზავნება მხარეებს.

მუხლი 21[101]. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრება და საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში
1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დასაბუთებული განჩინება მისი ჩაბარებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში.
2. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს საქმე.
3. ამ კოდექსის 28-ე მუხლით დადგენილი წესით, სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო საჩივარი განიხილება მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში, ხოლო კერძო საჩივარი და საჩივარი განიხილება მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში.

მუხლი 21[102]. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრება და საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში

1. სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დასაბუთებული განჩინება მისი ჩაბარებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში.
2. საკასაციო სასამართლოში დასაშვებობის შემოწმების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს.
3. ამ კოდექსის 28-ე მუხლით დადგენილი წესით, საკასაციო სასამართლოში საკასაციო საჩივარი განიხილება მისი მიღებიდან 2 თვის ვადაში, ხოლო კერძო საჩივარი და საჩივარი განიხილება მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 21[103]. წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერება

1. გასაჩივრებული წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მოქმედება შეჩერდება:
ა) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე;
ბ) სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლო ძალაში შესვლამდე.
2. გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერების ვადის გასვლისთანავე, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას, თუ არ არსებობს წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების საფუძვლები.

მუხლი 21[104]. ადმინისტრაციული სამართალწარმოება არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევაზე (ჩარიცხვაზე) უარის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

ადმინისტრაციული სამართალწარმოება არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევაზე (ჩარიცხვაზე) უარის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ხორციელდება ამ თავით დადაგენილი წესით.“;

2. 35[7] მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 35[7]. წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევასთან, აგრეთვე არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევაზე (ჩარიცხვაზე) უარის თქმასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამართალწარმოების მოქმედება დროში

სასამართლოში საქმე განიხილება ამ კოდექსის VII[25] თავით დადგენილი წესით, თუ სარჩელი სასამართლოს წარედგინება ამ კანონის ამ კოდექსის VII[25] თავის ძალაში შესვლის შემდეგ.“.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**